დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ნოემბრის № 124/2021 დადგენილებით

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მობილობის, შიდა მობილობის/რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტთა მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი

მუხლი 1. პრეამბულა

წინამდებარე წესით რეგულირდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (შემდეგში კონსერვატორია) მობილობის (საქართველოს, აგრეთვე უცხოეთის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, მათ შორის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ფარგლებში განხორციელებული მობილობა) და ე.წ. შიდა (კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამებს შორის) მობილობის პროცესი და მის ფარგლებში ჩარიცხულ სტუდენტთა მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება, ასევე, სტუდენტის სტატუსის აღდგენისა და საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პრინციპები.

მუხლი 2. საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის პროცესის ადმინისტრირება

1. საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (შემდეგში უსდ) მობილობის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
2. მობილობის ფარგლებში ვაკანტური ადგილების რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები კონსერვატორიისათვის განსაზღვრული სტუდენტური კვოტის ფარგლებში. განსაზღვრული ადგილების რაოდენობა მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე, შემდეგ კი კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოზე;
3. სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარე მობილობის ვადებისა და პირობების, ასევე, მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარების კომისიის მუშაობის ვადების შესახებ პროექტის მომზადებას, რომელიც მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;
4. მობილობის ფარგლებში კონსერვატორიაში გადმოსვლის მსურველ პირს აღნიშნული უფლება წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განამვლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
5. მობილობის ფარგლებში კონსერვატორიის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგამებზე გადმოსვლის მსურველ პირს მობილობის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. საქართველოს სხვა უსდ-დან კონსერვატორიაში გადმოსვლის მსურველ სტუდენტის სტატუსშეწყვეტილ პირს მობილობის უფლება აქვს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 12 თვის განმავლობაში.
7. საქართველოს სხვა უსდ-დან კონსერვატორიაში გადმოსვლის მსურველ სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირს მობილობის უფლება აქვს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 წლის განმავლობაში.

8. საქართველოს სხვა უსდ-დან კონსერვატორიაში გადმოსვლის მსურველი პირი ვალდებულია: ა) გაიაროს შიდასაკონსერვატორიო **რეგისტრაციის პირველი ეტაპი;** ბ) გაიაროს კონსერვატორიის შესარჩევი კონკურსი (შემოქმედებითი ტური/გამოცდა); გ) გაიაროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელ.პორტალზე https://students.emis.ge/ რეგისტრაცია, დ) გაეცნოს მობილობის შედეგებს ელ.პორტალზე პირად სარეგისტრაციო ფანჯარაში და დადებითი პასუხის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მომართოს კონსერვატორიას **რეგისტრაციის მეორე ეტაპის** გასავლელად; ე) გაეცნოს კონსერვატორიის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობას და წერილობითი განცხადებით დაადასტუროს თანხმობა ან უარი. *(დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით N24/2023 24.03.2023).*

8.1. მობილობის ფარგლებში პროგრამებზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კონკურსის (შემოქმედებითი ტურის/ტურების/გამოცდის) გავლა (ასეთის არსებობის შემთხვევაში); კონსერვატორია ვალდებულია კონკურსის შედეგები ელ.პორტალზე რეგისტრაციის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე: ა) აცნობოს მობილობის მსურველს, ბ) მიაწოდოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას კონკურსში დადებითი შეფასების მქონე სტუდენტების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის კონკურსის რეიტინგული სია). *(დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით N24/2023 24.03.2023).*

8.2. ერთსა და იმავე საგანმანათლებლო პროგრამაზე/სპეციალობაზე ერთდროულად მობილობისა (შემოდგომის სემესტრი) და ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში აპლიკანტი კონკურსს (შემოქმედებითი ტური/გამოცდა) გაივლის ერთხელ; აპლიკანტის ჩარიცხვა მოხდება მის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტით. *(დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით N24/2023 24.03.2023).*

9. სხვა უსდ-დან გადმოსვლის მსურველმა სტუდენტმა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან კონსერვატორიის კორპორაციულ ელექტრონულ ფოსტაზე უნდა წარმოადგინოს: **რეგისტრაციის პირველ ეტაპზე**: ა) რეგისტრაციის შევსებული ფორმა (იხ. დანართი №3); ბ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი; გ) კონკურსში (შემოქმედებით ტური/გამოცდა) მონაწილეობის საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი). **რეგისტრაციის მეორე ეტაპზე:** ა) პირველადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის პირადი საქმის (სასწავლო ბარათი/ნიშნების ფურცელი; ბაკალავრებისათვის ატესტატი/ მაგისტრებისათვის ბაკალავრის დიპლომი; ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების/აღდგენის/შეწყვეტის, კურსიდან კურსზე გადაყვანის ბრძანებები) ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული ასლები; ბ) განცხადება კრედიტების აღიარების თაობაზე (იხ. დანართი №2); გ) პირველად უსდ-ში გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები ან/და ანოტაციები (კრედიტების აღიარების კომისიის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში). *(დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით N24/2023 24.03.2023).*

10. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს წინამდებარე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან რომელიმეს, კომისია უფლებამოსილია, სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები.

11. სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტი მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ ამზადებს რექტორის ბრძანების პროექტს/წარდგინებას სტუდენტების გარე მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.

მუხლი 3. საზღვარგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის პროცესის ადმინისტრირება

1. საზღვარგარეთის უსდ-დან კონსერვატორიაში გადმოსვლის მსურველი პირი ვალდებულია აკმაყოფილებდეს „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (29.12.2011) ბრძანებით განსაზღვრულ პირობებს.

2. საზღვარგარეთის უსდ-დან კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შემოქმედებითი ტურის/ტურების ჩაბარება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. საზღვარგარეთის უსდ-დან კონსერვატორიაში გადმოსვლის მსურველმა პირმა კონსერვატორიის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან კონსერვატორიის კორპორაციულ ელექტრონულ ფოსტაზე უნდა წარმოადგინოს: ა) განცხადება (იხ. დანართი №2); ბ) სათანადო წესით დამოწმებული ან სატიტულო ბლანკზე დატანილი სასწავლო ბარათი, ამონაწერი, ცნობა ან/და სხვა სახის დოკუმენტი, რომელსაც უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი; გ) გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები ან/და ანოტაციები.

4. თუ უცხოეთის უსდ იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემისაგან განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს უცხოეთის უსდ–ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს მის შესაბამისობას ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან.

5. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს წინამდებარე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნებიდან რომელიმეს, კრედიტების აღიარების კომისია უფლებამოსილია, სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები.

6. საზღვარგარეთის უსდ-დან კონსერვატორიაში გადმოსვლის მსურველი პირი კრედიტების აღიარების შემდგომ წერილობით ადასტურებს თანხმობას ან/და უარს სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

7. საზღვარგარეთის უსდ-დან კონსერვატორიაში გადმოსვლის მსურველი პირი ვალდებულია უზრუნველყოს კონსერვატორიის კრედიტების აღიარების კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნის სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა სწავლის გაგრძელების შესახებ დასტურის მიღების მიზნით.

მუხლი 4. შიდა მობილობის/რიგგარეშე შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირება

1. შიდა მობილობის/რიგგარეშე შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს კონსერვატორია.

2. სტუდენტთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით კონსერვატორია უფლებამოსილია გამოაცხადოს რიგგარეშე შიდა მობილობა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის/აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში ან თავად კონსერვატორიის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების/მილევად რეჟიმში გადაყვანის შემთხვევაში.

3. შიდა მობილობის/რიგგარეშე შიდა მობილობის პროცესის უზრუნველსაყოფად: ა) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების მიერ განისაზღვრება მობილობისათვის ადგილების რაოდენობა, რაც მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე, შემდეგ კი კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოზე; ბ) სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს შიდა

მობილობის/რიგგარეშე შიდა მობილობის ვადებისა და პირობების, ასევე, მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარების კომისიის მუშაობის ვადების შესახებ პროექტის მომზადებას, რომელიც მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

4. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს შემოდგომისა და/ან გაზაფხულის სემესტრებში სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ხოლო რიგგარეშე შიდა მობილობა ცხადდება საჭიროებისამებრ.

5. შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა კონსერვატორიის უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ, გარდა რიგგარეშე შიდა მობილობაში მონაწილე სტუდენტებისა. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განამვლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

6. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება ეზღუდება სტუდენტს, რომელმაც სწავლების ძირითად ვადებში ვერ შეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება. აღნიშნული არ ვრცელდება რიგგარეშე შიდა მობილობაში მონაწილე სტუდენტებზე;

7. სტუდენტმა, რომელმაც ერთი და იგივე სასწავლო კურსის ფარგლებში ვერ შეძლო კრედიტის მოპოვება სამჯერ აქვს უფლება ისარგებლოს შიდა მობილობის შესაძლებლობით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემამდე, მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ სამჯერ ჩავარდნილ სავალდებულო კურსს.

8. შიდა მობილობაში/რიგგარეშე შიდა მობილობაში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია: ა) გაიაროს რეგისტრაციის პირველი ეტაპი; ბ) გაიაროს შესარჩევი კონკურსი (შემოქმედებითი ტური/გამოცდა); გ) გაეცნოს მობილობის კონკურსის შედეგებს და დადებითი პასუხის შემთხვევაში გაიაროს რეგისტრაციის მეორე ეტაპი; დ) გაეცნოს კონსერვატორიის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობას და წერილობითი განცხადებით დაადასტუროს თანხმობა ან უარი. *(დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით N24/2023 24.03.2023).*

9. შიდა მობილობის/რიგგარეშე შიდა მობილობის ფარგლებში პროგრამებზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი წინაპირობაა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შემოქმედებითი ტურის/ტურების ჩაბარება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9.1. ერთსა და იმავე საგანმანათლებლო პროგრამაზე/სპეციალობაზე ერთდროულად მობილობისა (შემოდგომის სემესტრი) და ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის შემთხვევაში აპლიკანტი კონკურსს (შემოქმედებითი ტური/გამოცდა) გაივლის ერთხელ; აპლიკანტის ჩარიცხვა მოხდება მის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტით. *(დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით N24/2023 24.03.2023).*

10. *(ამოღებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით N24/2023 24.03.2023).*

11. შიდა მობილობის/რიგგარეშე შიდა მობილობის ფარგლებში კონსერვატორიის სხვა პროგრამიდან/სპეციალობიდან გადმოსვლის მსურველმა სტუდენტმა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან კონსერვატორიის კორპორაციულ ელექტრონულ ფოსტაზე უნდა წარმოადგინოს: **პირველ ეტაპზე** ა) რეგისტრაციის შევსებული ფორმა (იხ. დანართი №3); ბ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი; გ) კონკურსში (შემოქმედებით ტური/გამოცდა) მონაწილეობის საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი). **მეორე ეტაპზე** ა) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ გაცემული სასწავლო ბარათი/ნიშნების ფურცელი (სემესტრების მიხედვით); ბ) განცხადება კრედიტების აღიარების თაობაზე (იხ. დანართი №2). *(დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით N24/2023 24.03.2023).*

12. სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტი მობილობის პროცესის დასრულებისთანავე ამზადებს რექტორის ბრძანების პროექტს/წარდგინებას სტუდენტების შიდა მობილობით/რიგგარეშე შიდა მობილობით გადასვლის თაობაზე.
13. რექტორის ბრძანება სტუდენტის შიდა მობილობით/რიგგარეშე შიდა მობილობით გადასვლის შესახებ გამოიცემა შესაბამისი სემესტრის სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

მუხლი 5. საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირება

1. პარტნიორ უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ორმხრივი წერილობითი შეთანხმების, ასევე საერთაშორისო პროექტის ან სამთავრობო გრანტების ფარგლებში დაგეგმილი სტუდენტთა გაცვლითი პროცესის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.
2. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით კონსერვატორიის სტუდენტთა შერჩევისათვის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი კონსერვატორიის ვებგვერდზე განათავსებს შესაბამის ინფორმაციას აპლიკანტთა რეგისტრაციის თაობაზე.
3. საერთაშორისო გაცვლით ან პროგრამა/პროგრამებში მონაწილეობა შეუძლია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივლისის №11 ოქმით და 2021 წლის N145 დადგენილებით დამტკიცებულ Erasmus+ პროგრამით სტუდენტებისთვის გათვალისწინებული სტიპენდიის მოპოვების წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
4. საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მნიშვნელოვანი პირობებია: ა) სტუდენტის მიერ შევსებული სასწავლო ხელშეკრულება (Before the mobility), რომელსაც ხელს აწერს სტუდენტი, კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და მასპინძელი (მიმღები) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. აღნიშნულ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილია ის საგანმანათლებლო დისციპლინები, რომლებსაც სტუდენტი, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის (სტიპენდიის მოპოვების) შემთხვევაში, გაივლის მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ბ) სტუდენტის მიერ ხელმოწერილი განცხადება (იხ. დანართი 4).
5. გაცვლითი პროგრამის სტიპენდიის მოპოვებით დაინტერესებული სტუდენტი ვალდებულია თავად მოიძიოს სასურველი მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდზე (იმ შემთხვევაში თუ მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ ინფორმაციას მიაწვდის კონსერვატორიას, იგი ხელმისაწვდომი იქნება კონსერვატორიის მიერ წინამდებარე წესით გათვალისწინებული განცხადების შინაარსში) უცხოელი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იმ საგანმანათლებლო დისციპლინების ჩამონათვალი, რომელიც იკითხება გაცვლითი პროგრამით გათვალისწინებულ მობილობის ენაზე იმ სასწავლო სემესტრში, რომელიც გათვალისწინებულია მობილობის სემესტრად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების მიხედვით და შეავსოს სასწავლო ხელშეკრულება.
6. სტუდენტი ვალდებულია მასპინძელი უსდ-ის მიერ სტიპენდიის მოპოვების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე სასწავლო ხელშეკრულების სამუშაო ვერსია (Before the mobility) წარუდგინოს კრედიტების აღიარების დარგობრივ კომისიას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სასწავლო ხელშეკრულების დაზუსტებული ვერსიის ფორმირებას და კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისათვის მიწოდებას ხელმოწერის მიზნით.
7. თუ სასწავლო ხელშეკრულებაში მითითებული დისციპლინები იწვევს სტუდენტის დამატებით

სემესტრში გადასვლას, კომისიამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტის ინფორმირება ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე.
8. სტუდენტი ვალდებულია მობილობის პროცესში (During the Mobility) სასწავლო ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ნებისმიერი ცვლილება შეათანხმოს როგორც მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე კონსერვატორიის საკონტაქტო პირთან და კრედიტების აღიარების შესაბამის დარგობრივ კომისიასთან.
9. სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სხვა უსდ-ში გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები ან/და ანოტაციები.

მუხლი 6. კრედიტების აღიარების კომისია

1. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობასა და კრედიტების აღიარების პროცედურას წარმართავს რექტორის ბრძანებით შექმნილი კრედიტების აღიარების ძირითადი კომისია (შემდეგში „კომისია“) და ამავე ბრძანებით დამტკიცებული დარგობრივი კომისია.
2. ძირითადი კომისიის შემადგენლობაში შედის:
ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/კოორდინატორი; ბ) სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენელი;
3. დარგობრივი კომისიის შემადგენლობაში შედის:
ა) საშემსრულებლო ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მიმართულებიდან/მოდულიდან აკადემიური პერსონალი(ები) ან/და ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირ(ებ)ი;
ბ) კომპოზიცია და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მიმართილებიდან/მოდულიდან აკადემიური პერსონალი(ები) ან/და ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირ(ებ)ი;
3. სტუდენტის/სტუდენტების კრედიტების აღიარებას უზრუნველყოფს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ძირითადი და ის დარგობრივი კომისია, რომელ სპეციალიზაციაზეც გეგმავს სტუდენტი სწავლის გაგრძელებას.
4. კომისიის სხდომას წარმართავს თავმჯდომარე, ხოლო სხდომათა ჩანაწერებს უზრუნველყოფს მდივანი, რომლებიც აირჩევიან რიგით პირველ სხდომაზე. კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უბრალო უმრავლესობით.
6. კომისიის თითოეული სხდომა აისახება ოქმში. მდივანი ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს, სხდომის ოქმს და ამზადებს კრედიტების აღიარების დასკვნის და რეკომენდაციების პროექტს (ასეთის საჭიროების შემთხვევაში, იხ. დანართი №1) კომისიის ფარგლებში საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის.
7. კომისიის მდივანი კრედიტების აღიარების დასკვნისა და რეკომენდაციების პროექტს აცნობს სტუდენტს, რის შემდეგაც კრედიტების აღიარების დასკვნისა და რეკომენდაციების პროექტს ხელს აწერს კომისიის სხდომის დამსწრე ყველა წევრი.
9. კომისიის მიერ შემუშავებული კრედიტების აღიარების დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით კონსერვატორიის რექტორი, საჭიროების შემთხვევაში, გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ. აღნიშნული არ ვრცელდება გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებზე.
10. კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სტუდენტის პირად საქმეში შენახვა ევალება შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

11. სტუდენტის განცხადების განხილვა და კრედიტების აღიარების დასკვნის შემუშავება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. განცხადებით კომისიასადმი მიმართვის ვალდებულება არ ვრცელდება უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან დაბრულებულ გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტზე.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და კრედიტების აღიარება

1. კრედიტების აღიარების მიზნით კომისია ადგენს სტუდენტის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას კრედიტების აღიარების შესახებ.
2. სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება სწავლის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსების/ანოტაციების/აღწერილობის ანალიზის შედეგად.
3. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. კრედიტის აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სასწავლო კურსის ფარგლებში საბოლოო შეფასების სახით უდასტურდება დადებითი შეფასება (ქულა/ დიფერენცირებული ჩათვლა და სხვ).
5. კონსერვატორია უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის კონსერვატორიის წესდებით დადგენილი წესით.
6. კონსერვატორიის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენისას შესაძლებელია აღიარებულ იქნას სავალდებულო და არჩევითი/თავისუფალი კრედიტები.
7. არჩევით/თავისუფალ კრედიტად დასაშვებია იმ სასწავლო კომპონენტის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამით. ამასთან, კრედიტების აღიარების კომისია უფლებამოსილია არჩევით საგნად აღიაროს სტუდენტის მიერ უცხოეთის უსდ–ში გავლილი ისეთი სასწავლო კურსი, რომელსაც არ ითვალისწინებს კონსერვატორიის კურიკულუმი, მაგრამ რომელიც მისი მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სტუდენტის კვალიფიკაციისა და პროფესიული განვითარებისათვის.
8. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, არჩევით/თავისუფალ კრედიტებად ასაღიარებელი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის გადამეტების შემთხვევაში, კომისია ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასებები აქვს მიღებული. სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია, აღიარებულ იქნას არა უმაღლესი შეფასებების მქონე, არამედ სტუდენტის მიერ გავლილი სხვა სასწავლო კურსი/კურსები. აღნიშნული მუხლი არ ვრცელდება საერთაშორისო გაცვლითი/მობილობის პროგრამის მონაწილე სტუდენტებზე. გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისთვის შესაძლებელია აკადემიური სემესტრის განმავლობაში არაუმეტეს 45 კრედიტის აღიარება, იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში კრედიტების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

9. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის სახელწოდება და კრედიტების რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია კონსერვატორიაში მოქმედი სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობასთან, სასწავლო დისციპლინის აღიარება ხორციელდება ავტომატურად.
10. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის სახელწოდება არ ემთხვევა კონსერვატორიაში მოქმედი სასწავლო კურსის დასახელებას, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ამ კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
11. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ სხვა უსდ-ში გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა ნაკლებია ან აღემატება კონსერვატორიის შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს კონსერვატორიაში მოქმედი სასწავლო დისციპლინა.
12. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ სხვა უსდ-ში გავლილი სასწავლო კურსი არ არის თავსებადი კონსერვატორიაში მოქმედი პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულ რომელიმე სასწავლო კურსთან, აღნიშნული სასწავლო დისციპლინის კრედიტი აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქვს სტუდენტს გავლილი.
13. კონსერვატორია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
14. თუ სტუდენტის პირველად უსდ–ს არ გააჩნია სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების სისტემა, მაშინ სტუდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს პირველადი უსდ–ს მიერ გაცემული სასწავლო ბარათი (ოფიციალური დოკუმენტი), რომელშიც მითითებული იქნება: თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა (რამდენი კვირის მანძილზე სწავლობდა სტუდენტი ამ სასწავლო კურსს და კვირაში რამდენი საათი ეთმობოდა მას). აღნიშნული კურსებისთვის ხდება პირობითი კრედიტების მინიჭება შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით კომისიის მიერ დადგენილ კოეფიციენტზე: 2–ზე ან სხვა ციფრზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხოლო საათების მიღებული რაოდენობა იყოფა 25–ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტები დამრგვალდება მთელ რიცხვამდე.
15. კრედიტების აღიარების კომისია, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციის სახით სტუდენტს განუსაზღვრავს პროგრამის დამთავრებისათვის საჭირო სავალდებულო და არჩევითი კრედიტების მოცულობას.
16. კრედიტების აღიარების დასკვნა შემუშავდება იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი ახდენს მობილობას/იცვლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამას ან/და რჩება იმავე პროგრამაზე, თუმცა პროგრამის ფარგლებში განხორციელებულია სასწავლო გეგმის შინაარობრივი მოდერნიზაცია ან/და სტუდენტი იცვლის პროგრამის ფარგლებში არსებულ სპეციალიზაციას. სხვა დანარჩენ შემთხვევაში (მაგ: ფასიანი და უფასო სექტორის ცვლილება) სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები ექვემდებარება ავტომატურ ტრანსფერს.

მუხლი 8. შეფასების სისტემის თავსებადობა

1. 2005 წლამდე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით:

ფრიადი (5)	95 ქულა	A
კარგი (4)	85 ქულა	B
დამაკმაყოფილებელი (3)	69 ქულა	D

2. ე.წ. არადიფერენცირებული „ჩათვლის“ აღიარება ხდება შემდეგნაირად: ე.წ. არადიფერენცირებულ "ჩათვლას" ენიჭება პირობითი ქულა: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული (მთელ რიცხვამდე დამრგვალებული), რა დროსაც მხედველობაში მიიღება როგორც პირველადი, ასევე მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებები.

3. თუ უცხოეთის უსდ–ში მოქმედი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს არა ქულებს, არამედ შეფასების აღმნიშვნელ ლათინურ ასოებს (A, B, C, D, E, A+, A, A- და სხვ.) ან სიტყვიერ განსაზღვრებას (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, საკმარისი) და არ არსებობს ამ სისტემის განმარტების ოფიციალური დოკუმენტი, მოცემული სისტემის გადაყვანა კონსერვატორიაში მოქმედ სისტემაზე მოხდეს შემდეგი წესით:

A +	ფრიადი	96
A	ფრიადი	95
A -	ფრიადი	91
B +	ძალიან კარგი	90
B	ძალიან კარგი	89
B -	ძალიან კარგი	85
C +	კარგი	80
C	კარგი	79
C -	კარგი	75
D +	დამაკმაყოფილებელი	70
D	დამაკმაყოფილებელი	69
D -	დამაკმაყოფილებელი	65
E +	საკმარისი	60
E	საკმარისი	59
E -	საკმარისი	55

4. თუ უცხოეთის უსდ იყენებს წინამდებარე დოკუმენტის მე–3 პუნქტში მითითებული შეფასების სისტემებისგან განსხვავებულ სისტემას, კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია უფლებამოსილია, დაადგინოს ამ სისტემის შესაბამისობა კონსერვატორიაში მოქმედ შეფასების სისტემასთან.

მუხლი 9. სწავლების სემესტრის განსაზღვრა აღიარებული კრედიტების მიხედვით.

1. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, კომპოზიციისა და საშემსრულებლო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია, სწავლა განაგრძოს შესაბამისი სემესტრიდან შემდეგი სქემის მიხედვით:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
1 – 24	I სემესტრი
25 – 54	II სემესტრი
55 – 84	III სემესტრი
85 – 114	IV სემესტრი
115 – 144	V სემესტრი
145 – 174	VI სემესტრი
175 – 204	VII სემესტრი
205 – 234	VIII სემესტრი

2. წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების გარდა კონსერვატორიის ყველა დანარჩენი პროგრამის სტუდენტს რეკომენდაცია ეძლევა სწავლა განაგრძოს შესაბამისი სემესტრიდან შემდეგი სქემის მიხედვით:

აღიარებული კრედიტი	შესაბამისი სემესტრი
0 – 19	I სემესტრი
20-49	II სემესტრი
50-79	III სემესტრი
80-109	IV სემესტრი
110-139	V სემესტრი
140-169	VI სემესტრი
170-199	VII სემესტრი
200-240	VIII სემესტრი

3. წინამდებარე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სქემა არ ვრცელდება საერთაშორისო გაცვლითი/მობილობის პროგრამის სტუდენტებზე.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით სტუდენტს, კონსერვატორიასა და მასპინძელ ინსტიტუციას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია 2021 წლის 12 ნოემბრამდე (წინამდებარე წესის ამოქმედებამდე) წარმოადგენს კრედიტების აღიარების სამართლებრივ საფუძველს (იხ. წესის კოდიფიცირებული ვერსია);

დანართი №1

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სტუდენტთა კრედიტების აღიარების კომისიის სხდომის

ოქმი N … სხდომას ესწრებოდნენ:

_____[კომისიის წევრის სახელი და გვარი]_____
_____[კომისიის წევრის სახელი და გვარი]_____

დღის წესრიგი:

კომისიამ განიხილა: იმსჯელა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ და დაადგინა:

#	საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესწავლილი, პროგრამულად თავსებადი სასწავლო კურსის ზუსტი დასახელება	კრედიტი/საკონტაქტო საათების რაოდენობა	მიღებული შეფასება	.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურიკულუმით გათვალისწინებული, პროგრამულად თავსებადი სასწავლო კურსის ზუსტი დასახელება	აღიარებული კრედიტები	აღიარებული შეფასება
1.						
2.						
3.						

აღიარებულია _[ECTS კრედიტის რაოდენობა] _ კრედიტი, სწავლის გაგრძელება დასაშვებია [საგანმანათლებლო საფეხური, მაგ: საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო] პროგრამაზე _[პროგრამის ზუსტი დასახელება]_I_სემესტრიდან.

პროგრამის დასრულებისთვის რეკომენდებულია სტუდენტმა გაიაროს შემდეგი სასწავლო კომპონენტები: _____

_____[კომისიის წევრის სახელი და გვარი]_____(თავმჯდომარე)
_____[კომისიის წევრის სახელი და გვარი]_____(წევრი)
_____[კომისიის წევრის სახელი და გვარი]_____(წევრი, მდივანი)
თარიღი:

დანართი №2

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
_____ფაკულტეტის
დეკანს,
ქ-ნ/ბ-ნ _____

განცხადება

გთხოვთ მიღიაროთ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის/საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში/საქართველოს სხვა უსდ-ში სწავლის პერიოდში/ კონსერვატორიის ------- ფაკულტეტზე ------- საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში დაგროვებული კრედიტები.

პატივისცემით,
სტუდენტის სახელი და გვარი, ხელმოწერა თარიღი

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
მობილობა – რეგისტრაციის ფორმა

აპლიკანტის სახელი, გვარი _____

გარკვევით

ტელეფონი_____

ელ-ფოსტა_____

მისამართი _____

მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამა, სპეციალობა, ინსტრუმენტი

შეავსეთ საგამოცდო პროგრამა (ივსება პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად) :

ვადასტურებ, რომ აღნიშნული ფორმა ჩემს მიერაა შევსებული და ინფორმაცია სწორია.

/ რიცხვი / თვე / წელი / ხელმოწერა

სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
მოგახსენებთ, რომ ვარ _____

(მიუთითეთ სწავლების საფეხური, სპეციალობა/პროგრამა, ფაკულტეტი, კურსი, სემესტრი)
სტუდენტი და ვმონაწილეობ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის კონკურსში.

ვადასტურებ, რომ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩემ მიერ შემუშავებული სასწავლო ხელშეკრულება (Before the Mobility-ის Table A და Table B) წარმოადგენს სამუშაო ვერსიას და მიმღები უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან თანხმობის მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია იგი დაზუსტების მიზნით დაექვემდებაროს სრულ ან ნაწილობრივ ცვლილებას.
ასევე ინფორმირებული ვარ, რომ:
1. ვალდებული ვარ მიმღები უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებიდან კონსერვატორიაში წარმოვადგინო ნიშნების ფურცელი, სადაც თითეულ გავლილ სასწავლო დისციპლინაში შეფასება მითითებული იქნება 100 ქულიანი სისტემით. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტების აღიარებისის პროცესში გამოყენებულ იქნება კონსერვატორიის შესაბამისი რეგულაციით განსაზღვრული ტრანსფერის მექანიზმი.
2. გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდეგ კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელებისა და პროგრამის დასრულების მიზნით შესაძლოა დამჭირდეს დამატებითი სემესტრის ან/და სემესტრების გავლა.
3. მობილობის პროცესში სასწავლო ხელშეკრულების (During the Mobility) ფარგლებში წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

სტუდენტის სახელი და გვარი: ხელმოწერა:
ტელ: თარიღი: